

ზოგადი ხედვა

1. როგორია თქვენი ხედვა ქალაქის განვითარების ძირითადი პრიორიტეტების შესახებ?

ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის პროცესი, რომელიც გულისხმობს თელავისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებას მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ და განსაზღვრონ თავიანთი ქალაქის განვითარების სამომავლო მიმართულებები. ამისათვის კი აუცილებელია სხვადასხვა პროფესიული გამოცდილების მქონე ადამიანების ერთობლივი ძალისხმევა, რომლებიც ერთად შეიმუშავენ თელავის განვითარების სტრატეგიას. ქალაქ თელავის მერიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება ქალაქის მოსახლეობასთან მაქსიმალური კომუნიკაცია და თანამშრომლობა.

ცხადია, რომ თელავის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მკაფიოდ გამოხატული, სწრაფად განვითარებადი პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორებით (მეღვინეობა-მევენახეობა, დივერსიფიცირებული სოფლის მეურნეობა აქტიური კოოპერაციული მეურნეობებისა და ასოციაციების სისტემით, სხვადასხვა სახის ტურიზმი, გადამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა და სხვა) რაც უშუალო ზეგავლენას ახდენს ქალაქზე. თელავს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებით საშუალება ეძლევა იყოს თავისუფალი, მაქსიმალურად მოტივირებული ქალაქში არსებული პრობლემების მოგვარებაზე და ორიენტირებული საკუთარი ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობაზე. რაც ხელს შეუწყობს თელავის მერიის გამჭვირვალებასა და დემოკრატიულობას. თელავს გააჩნია დიდი პოტენციალი იყოს უკეთესი ვიდრე აქამდე ყოფილა, ქალაქს აქვს შესაძლებლობა საკუთარი ეკონომიკური და სოციალური რესურსები მიმართოს საკუთარი ქალაქის მდგრადი განვითარებისაკენ. ქალაქი თელავის მერიის მთავარი პრიორიტეტები იქნება:

- ქალაქის ინფრასტრუქტურული განვითარება
- ქალაქის ეკონომიკური განვითარება და გაძლიერება
- ქალაქის ურბანული განვითარება/ ქალაქდაგეგმარება/ბინათმშენებლობა
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის მოწესრიგება
- კულტურა და განათლება
- უსაფრთხოება და კრიმინალი დონის მინიმალურ ზღვრამდე დაწევა
- ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა
- ეკოლოგია
- სპორტი
- კულტურა

განვითარება და ეკონომიკა

2. გთხოვთ მოკლედ აღწეროთ ქალაქის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების თქვენური ხედვა/გეგმა (თუკი ასეთი გაქვთ)

ქალაქ თელავის მერია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელს შეუწყობს ქალაქში სამეწარმეო საქმიანობას. მერია გასცემს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მცირე გრანტებს ფიზიკურ პირებზე. ქალაქის მერია ხელს შეუწყობს მეწარმეებს, ბიზნეს სექტორით დაინტერესებულ პირებს ბიზნესის განვითარებაში და უფლებამოსილების ფარგლებში გადასცემს მიწებს გრძელვადიანი იჯარით.

ქალაქის მერია აქტიურად ითანამშრომლებს ეკონომიკის სამინისტროსთან ინვესტიციებისა და ფინანსური გრანტების მოსაზიდად.

ქალაქის მერია ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას ქალაქში. კონკრეტულად კი გაკეთდება ტურიზმ ცენტრები, დაიგეგმება მარშრუტები და სხვა. მერიისგან ხელშეწყობა ექნებათ კერძო ინვესტორებს სასტუმროებისა და კომპლექსების ასაშენებლად.

ქალაქის მერია აქტიურად ითანამშრომლებს და დაიმეგობრებს სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებს, რომელთანაც გაფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმი და მოხდება ინვესტიციების მიღება, ტურისტების ჩამოყვანა და სხვადასხვა სახის აქტივობები. ქალაქის მერია ხელს შეუწყობს ქალაქში სამაცივრე, სასაწყობო მეურნეობის განვითარებას, რომლიდანაც შემოსავალი შემოვა მერიის ბიუჯეტში.

3. თქვენი აზრით, რა არის ის მთავარი პრობლემები, რომლებიც თქვენი ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის?

- საბანკო სესხის მაღალი პროცენტი
- მაღალი საშემოსავლო გადასახადი
- არ არსებობს ქალაქში მცირე ბიზნესის ხელშეწყობა

4. თქვენი აზრით, რა არის თქვენი ქალაქის ძირითადი შესაძლებლობები/უპირატესობები, რომელთა გამოყენებასაც შეეცდებით მისი ეკონომიკური და ურბანული განვითარების მისაღწევად?

თელავს გააჩნია უამრავი შესაძლებლობა ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

1. ტურიზმი: ტურიზმის თვალსაზრისით თელავს გააჩნია უამრავი შესაძლებლობა, თელავი წარმოადგენს კახეთის ცენტრს, თელავი წარმოადგენს მრავალი კულტურული ტრადიციების მატარებელ ქალაქს. აქ მდებარეობს მეფე ერეკლეს სასახლე, მუზეუმი, თეატრი და სხვა. ქალაქს შეთავსებული აქვს მასპინძლის ფუნქცია და იღებს ტურისტებს. ქალაქში მდებარეობს სასტუმროები და უამრავი კვების ობიექტი, რესტორანი, ბარი, კომპლექტები.

2. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა: ქალაქის მერია ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვით, ინვესტორების ჩამოყვანით, თანადაფინანსებული გრანტების გაცემითა და სხვადასხვა ხელშეწყობით.

- ქალაქის ღვინის ცენტრად ქცევა „თელავი ღვინის ქალაქი“, ქალაქში ღვინის მუზეუმის გახსნა და ღვინის ფესტივალების ჩატარება.
- ქალაქ თელავის ერეკლე II მუზეუმის რეაბილიტაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქში ეკონომიკური შემოსავლის გაზრდას.
- სხვადასხვა კონფერენციებისა და სპორტული თუ კულტურული ღონისძიებების ჩატარება თელავში, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის ფართო ასპარეზზე გასვლას და ეკონომიკის ზრდას.

5. როგორია თქვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები? გთხოვთ მოკლედ განმარტოთ თქვენი საბიუჯეტო პოლიტიკა.

1. ჩვენი საბიუჯეტო პრიორიტეტებია:

- სოციალური დაცვა ანუ მერია გასცემს სოციალურად დაუცველ პირებზე ერთჯერად დახმარებას
- უსახლკაროთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა
- სოციალურად დაუცველ პირთათვის უფასო სასადილოების გახსნა და სხვა.
- ინფრასტრუქტურული პროექტები, დაზიანებული შენობების რეაბილიტაცია და სხვა
- ეკონომიკური პროექტები
- სპორტი
- კულტურა

2. ქალაქის მერიის ადმინისტრაციული და საშტატო ხარჯების შემცირება:

ქალაქის მერიის ბიუჯეტის დასაზოგად მოხდება მერიის კუთვნილი ავტოპარკის შემცირება, ადმინისტრაციული შტატების მინიმუმამდე დაყვანა და ბიუჯეტის ეფექტური ხარჯვა.

6. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ბიზნეს და კომერციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის ხელშესაწყობად?

მერია ხელს შეუწყობს კერძო ბიზნესმენებს კომერციული ფართების გახსნაში, შეღავათიან ფასში, გრძელვადიანი იჯარის სახით გასცემს მერიის საკუთრებაში არსებულ მიწის ფართს. მერიის ბიუჯეტის თანადაფინანსებით მოხდება ქალაქში არსებული კომერციული ფართების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

ურბანული განვითარება/ქალაქდაგეგმარება/ბინათმშენებლობა

7. რა ღონისძიებებს გაატარებთ უკეთესი ხარისხის საბინადრო პირობების შესაქმნელად მოქალაქეთათვის?

ჩვენ განვახორციელებთ ხელმისაწვდომი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამას – წელიწადში მინიმუმ 2 ათასი კვ. მ ფართით დავაკმაყოფილებთ უსახლკარო ოჯახების. ამისათვის შეიქმნება არა მომგებიანი მერიის ფონდი, რომელსაც საბრუნავი სახსრები, 5 მილიონი ლარის უპროცენტო სახელმწიფო სესხის სახით და მიწის ნაკვეთები უსასყიდლოდ გადაეცემა. ამრიგად, ეს ოჯახები საცხოვრებელი ფართის მხოლოდ თვითღირებულებას, ანუ დღევანდელი საბაზრო ფასის მესამედს გადაიხდიან. შემოსული თანხა კვლავ შეავსებს ფონდს შემდგომი 2 ათასი კვ.მ-ის ასაშენებლად, რომელიც კვლავ მშენებლობას მოხმარდება.

8. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქის ქუჩების სისუფთავის გასაუმჯობესებლად?

ქალაქის მერია შეიძენს ნაგვის ურნებს, რომელიც დაიდგმება ყველა ქუჩაზე. ასევე ქალაქის მერია გაზრდის ნაგვის მანქანების რაოდენობას და თანამშრომელთა რაოდენობას.

ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი

9. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესებისათვის?

ქალაქის მერია შეიძენს ავტობუსებს, რომელიც მოემსახურება ქალაქის მოსახლეობას მუდმივ რეჟიმში. საზოგადოებრივი ტრანსპორტი იმოდრავებს შეღავათიან ფასში. მგზავრობა უფასო იქნება პენსიონერებისთვის, სოციალურად დაუცველებისთვის და შშმ-პირებისთვის.

10. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის?

ქალაქის მერია უზრუნველყოს საგზაო ნიშნებისა და შუქნიშნების დადგმას ქალაქის მთელს ტერიტორიაზე და ქალაქის განაპირა გზების რეაბილიტაციას, რომელიც ქალაქში განტვირთავს სატრანსპორტო მოძრაობას.

11. რა ღონისძიებებს გაატარებთ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ქალაქში გადაადგილების შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის?

ქალაქის მერია შეიძენს სპეციალურ, ლიფტიან ავტობუსებს, რომელიც უფასოდ მოემსახურება ქალაქში მცხოვრებ შშმ-პირებს. აგრეთვე მერია უზრუნველყოფს ქალაქში ტროტოარებზე პანდუსების გაკეთებას.

კულტურა და განათლება

12. რა პროგრამებს განახორციელებთ კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის?

ქალაქის მერია საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში დააფინანსებს ქალაქში ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებს. ასევე მერია ხელს შეუწყობს ქალაქში არსებული თეატრის განვითარებას, ფინანსურად და მატერიალურად. ქალაქის მერია ხელს შეუწყობს:

- სხვადასხვა ფესტივალების გამართვა თელავში
- მუსიკალური ფესტივალი
- ღვინის ფესტივალი
- ცეკვის ფესტივალი

13. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რას მოიმოქმედებთ განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით?

თელავის მერიის პრიორიტეტულ საკითხთა რიგს მიეკუთვნება განათლება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქალაქის განვითარებისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში:

- უზრუნველყოფს სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსების გაზრდას რაც მოხმარდება ბავშვებისთვის უკეთესი პირობების შექმნას და მომუშავე პერსონალის ხელფასების გაზრდას.
- უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - სპეციალური დაფინანსება მერიისგან წარჩინებულ და სოციალურად დაუცველ სტუდენტებს.

უსაფრთხოება და კრიმინალი

14. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რა ღონისძიებებს გაატარებთ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალის პრევენციისთვის?

კრიმინოგენური სიტუაციის გამოსწორება პირდაპირ კავშირშია საზოგადოების სოციალურ მდგომარეობასთან; სოციალური სიდუხჭირე, უმუშევრობა ახალგაზრდობის დაუსაქმებლობა ხელს უწყობს კრიმინოგენური ვითარების დამძიმებას.

პირველ რიგში აუცილებელია პრობლემის კომპლექსური შესწავლა და სისტემური ანალიზი. კონტექსტიდან ამოგლეჯილი ერთჯერადი პროგრამები არაფრის მომტანია. აუცილებელია სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ციხიდან გათავისუფლებული პირების რესოციალიზაციას საზოგადოებაში. კრიმინალთან ბრძოლა არ გულისხმობს სასჯელის გამკაცრებას. დაუშვებელია ერთი ადამიანის, თუნდაც დამნაშავეს უფლებების არაპროპორციული შეზღუდვა. თელავის მერია საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში გასცემს გრანტებს არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც იმუშავებენ პრობაციონერებთან და ხელს შეუწყობენ მათ სოციალიზაციას.

ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა

15. როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა და რა სოციალური პროგრამების განხორციელებისათვის იზრუნებთ ქალაქში?

მთავარი მიმართულება იქნება ცენტრალური ბიუჯეტით დაფინანსებული სახელმწიფო პროგრამებით გაცხადებული გარანტიების შევსება ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით. იგულისხმება როგორც მომსახურებათა შესყიდვის, ასევე სოციალური გასაცემლების პროგრამები;

ვიზრუნებთ იმ პროფესიული ჯგუფების ანაზღაურების პირობების გაუმჯობესებისთვის, რომელთაც ევალებათ უმთავრესი სოციალური გარანტიების (ჯანდაცვითი, საგანმანათლებლო) მიწოდება მოსახლეობისთვის (სამედიცინო დახმარების პირველადი ხაზის მუშაკები-ამბულატორიულ-პოლიკლინიკური ქსელის ექიმები, ექტნები; სკოლამდელი სასწავლო დაწესებულებების მუშაკები, პედაგოგები, მათთან გათანაბრებული პირები; ბიბლიოთეკების მუშაკები.

16. რა ღონისძიებებს განხორციელებთ ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გასაუმჯობესებლად თქვენს ქალაქში?

თელავის მერია თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ვიზრუნებთ გარემოს (წყალი, ჰაერი, ნიადაგი, საკვები) სისუფთავის იმგვარი საკონტროლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, რომელიც შეავსებს და კოორდინაციაში იქნება ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის საქმიანობასთან.

17. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში მიუსაფართა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად?

თელავის მერია მეტ სახსრებს მოვახმართ უსახლკართო ადრიცხვასა და ელემენტარული საარსებო პირობებით (თავშესაფრით, საკვებით, პირადი ჰიგიენით) უზრუნველყოფას;

აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მეტ ყურადღებას მივაქცევთ პროფილაქტიკური ხასიათისა და დაავადებათა ადრეული გამოვლენისკენ მიმართული სკრინინგული პროგრამების განხორციელებას (ასაკობრივი ჯგუფების, საქმიანობასთან დაკავშირებული თუ გენეტიკური რისკების მიხედვით).

ეკოლოგია, რეკრეაცია და სპორტი

18. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

ქალაქისა და დასახლებული პუნქტების ქუჩების სისუფთავის გაუმჯობესება სხვადასხვა საკითხთა ერთგვარი კომპლექსია. კერძოდ, აუცილებელია საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების მართვის გამართული სისტემის შექმნა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების პირველადი სეპარაცია მოქალაქეების მიერ, მეორადი გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება და, რაც მთავარია, ბავშვობიდანვე ჩვენი თანამოქალაქეების კულტურის ჩამოყალიბება სუფთა საცხოვრებელი გარემოს შექმნის და გაფრთხილების კუთხით.

19. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქში რეკრეაციული ზონების, პარკების გაფართოებისა და განვითარებისთვის?

ქალაქ თელავში მდებარეობს რამდენიმე მნიშვნელოვანი პარკი, მაგალითად ნადიკვარი, ახალი ბაღი და მეფე ერეკლეს ციხის გალავანთან მდებარე პარკი. ქალაქის მერიის მხრიდან მოხდება ამ პარკების რეაბილიტაცია.

20. რის გაკეთებას აპირებთ სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის და სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად?

შევიმუშავეთ და განვახორციელებთ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოძრაობის ხელშემწყობ სპეციალურ კომპლექსურ პროგრამას (სათანადო ნაგებობების მოწყობა; მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისთვის გავზრდით სპორტული სასწავლებლებისა და წრეების ხელმისაწვდომობას; მოსახლეობის სამიზნე ჯგუფებისთვის უზრუნველვყოფთ სანატორიულ-საკურორტო ტიპის გამაჯანსაღებელ პროგრამებს).

თელავი

1. გაქვთ თუ არა რაიმე გეგმა თელავში გარე ვაჭრობის საკითხის დარეგულირებისათვის და თუ გაქვთ, როგორ აპირებთ ამ საკითხის დარეგულირებას?

თელავში დღეს ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გარე ვაჭრობა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, თელავის მერია გამოყოფს სპეციალურ ტერიტორიას, რომელიც მოაწესრიგებს გარე ვაჭრობას.

2. როგორ გესახებათ ქალაქში 2012 წლის სტიქიური მოვლენების შედეგად განადგურებული თელავის მწვანე საფარის („მწვანე რგოლის“, „გიგოს გორა“, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია, „ზუზუმბო“) აღდგენის და შენარჩუნების საკითხი?

თელავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გიგოს გორის გამწვანება, რომელიც დაზიანდა სტიქიის დროს. მერიის მხრიდან ხელი შეეწყობა გიგოს გორის გამწვანებას. ასევე მოხდება უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება რეაბილიტაცია, მწვანე საფარის განახლება გამწვანების საშუალებით. მთლიანად მოხდება ზუზუმბოს მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება.